ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 23 0001283191

02/10/2023

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხ
ორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. განხორციელდეს შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის (ს/კ:202937983) მიერ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (დანართი 2);
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის N01281806 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბრიდან;
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში,სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.

ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე:დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა